სსიპ შოთა რუსთაველი ს
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

12 დეკემბერი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 218

2025 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

"ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის და პირობების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, მე-13 მუხლის, „2025 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 16 აპრილის №43 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" და „რ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1770935, 11/12/2025) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2025 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2025 წლის 19 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) ახალგაზრდა მეცნიერის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც ჩაირიცხება სტიპენდია;

ბ) მასპინძელი ორგანიზაციის ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის/შპს (უსდ) შემთხვევაში მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები - ამ პროექტისათვის ცალკე გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

გ) ცნობა იმის შესახებ, რომ მასპინძელ ორგანიზაციას არ გააჩნია სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება;

დ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

3. დაევალოს ფონდის ხარისხის მართვისა და მონიტორინგის დეპარტამენტს დანართი N1-ით გათვალისწინებულ გამარჯვებული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2024 წლის 25 დეკემბრისა.
4. დაევალოს ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი თ. დოჭვირი

დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული

სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

2025 წლის 12 დეკემბრის N 218 ბრძანებით

2025 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი

გამარჯვებული პროექტები

N	პროექტის შიფრი
1	YS-25-3586
2	YS-25-617
3	YS-25-1584
4	YS-25-2282
5	YS-25-1468
6	YS-25-169
7	YS-25-4858
8	YS-25-2542
9	YS-25-303
10	YS-25-2234
11	YS-25-1005
12	YS-25-172
13	YS-25-975
14	YS-25-5187
15	YS-25-3543
16	YS-25-3803
17	YS-25-2375
18	YS-25-384
19	YS-25-221
20	YS-25-223
21	YS-25-4322
22	YS-25-880
23	YS-25-4451
24	YS-25-317
25	YS-25-171
26	YS-25-179
27	YS-25-3208
28	YS-25-366
29	YS-25-601
30	YS-25-4120